

## თავისუფალი საათის დაგეგმვა

(სტრუქტურირებული და ნაკლებად სტრუქტურირებული  
თავისუფალი საათი)

ქეთევან ფილიშვილი

მარიამ პაპუაშვილი

ნათია ბალხამიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაფასებლად*

პროგრამა : განათლების ადმინისტრირება

(სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან თოდაძე, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის, 2020 წელი

## განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს. გამოყენებული ლიტერატურა დამოწმებულია ილიაუნის აკადემიური სტილის მიხედვით.

ქეთევან ფილიშვილი

მარიამ ჰაპუაშვილი

ნათია ბალხამიშვილი

01.07.2020

## მადლობა

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ჩვენ მიერ შერჩეული სკოლის დირექციას, მასწავლებლებსა და მშობლებს კვლევაში აქტიური მონაწილეობისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან თოდაძეს, გაწეული დახმარებისა და თავდაუზოგავი შრომისათვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტი სტუდენტების მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ კვლევას. კვლევის მიზანი იყო თბილისის ერთ-ერთი კერძო სკოლის მაგალითზე თავისუფალი საათის შეფასება და მისი მახასიათებლებისა და მნიშვნელობის გამოკვეთა მოსწავლეთა განვითარებისთვის.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა სკოლის საჭიროება დაწყებითი კლასებში თავისუფალი საათის დაგეგმვასთან დაკავშირებით. დაიგეგმა ინტერვენციები და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, მოხდა ამ ინტერვენციების დისტანციურად განხორციელება.

ჩატარებული კვლევის შედეგად ცალსახად გამოიკვეთა ნაწილობრივ დაგეგმილი თავისუფალი საათის საჭიროება და მნიშვნელობა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში. კვლევის ფარგლებში შეთავაზებულმა სხვადასხვა ტიპის აქტივობებმა დაგვანახა მოსწავლეთა განსხვავებული მზაობა და ინტერესი, რაც გამოწვეული იყო სტრუქტურირებული და ნაწილობრივ სტრუქტურირებული აქტივობებით. კვლევაში მონაწილე მოსწავლეებმა შეიძინეს ან/და გაიუმჯობესეს სხვადასხვა ტიპის უნარები.

აღნიშნული კვლევა საინტერესო იქნება როგორც განათლების ადმინისტრირების სტუდენტებისა და განათლების სფეროში მოღვაწე მკვლევრებისთვის, ასევე, ცალკეული პედაგოგებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** თავისუფალი საათი, სტრუქტურირებული და ნაწილობრივ სტრუქტურირებული თავისუფალი საათი.

## **Abstract**

The present paper is the action research conducted by the graduate students of Ilia State University. The aim of the study was to evaluate free time on the example of one of the private schools in Tbilisi and to highlight its characteristics and significance for student development.

Based on the diagnostic test and in-depth interviews conducted as part of the study, the school's need for free-time planning in primary grades was identified. Interventions were planned, however, due to the epidemiological situation in the country, these interventions were carried out remotely.

As a result of the research, the need and importance of partially planned free time in the school life of students was clearly identified. The different types of activities offered in the study showed us different readiness and interest of the students. Which was caused by structured, partially structured and unstructured activities. Students participating in the study acquired and / or improved various types of skills.

This research will be of interest to students of education administration and researchers in the field of education, as well as to individual teachers and general education institutions.

**Keywords: free time, structured and partially structured free time.**